ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5106636

ნომერი: AR1769339

თარიღი : 23.08.2020

გაცემის თარიღი : 17.09.2020

გაცნობის თარიღი : 17.09.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვახტანგ ბოჭორიშვილის ქუჩა, N 24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა მჭედლიძე პ/ნ 01009000789
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 36 ბ. 44

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 12 ივნისის №4979460 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 23

აგვისტოს №AR1769339 განცხადებით მომართა პაატა მჭედლიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 12 ივნისის №4979460 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 12 ივნისის №4979460 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ვახტანგ ბოჭორიშვილის ქუჩა №24-ში, შპს ,,ვესთ საიდ“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.13.023.158), მრავალფუნქციური კომპლექსის (ბლოკი 2) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 12 ივნისის №4979460 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 734.95 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 722.62 კვ.მ., დამხმარე ფართობი 309.44 კვ.მ-ის ნაცვლად 320.20 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 1300.37 კვ.მ-ის ნაცვლად 1263.45 კვ.მ., საერთო ფართობი 7249.24 კვ.მ-ის ნაცვლად 7230.28 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამატებულ უნდა იქნას გამორჩენილი სარდაფის ფართობი (19.53 კვ.მ.). შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ– სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 12 ივნისის №4979460 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 722.62 კვ.მ., დამხმარე ფართობი: 320.20 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი: 1263.45 კვ.მ., საერთო ფართობი: 7230.28 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამატებულ უნდა იქნას სარდაფის ფართობი: 19.53 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 12 ივნისის №4979460 ბრძანებით შეთანხმებული +42.900 და +46.200 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
3. სამსახურის 2020 წლის 12 ივნისის №4979460 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 12 ივნისის №4979460 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.